დანართი N1

„დამტკიცებულია“

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის

2020 წლის 30.11. N 04-350 ბრძანებით

სსიპ -კოლეჯის „მერმისი“ მიერ აპლიკანტთა შერჩევის წესი

1. ეს წესი არეგულირებს აპლიკანტების შერჩევას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც გამოცხადებული ადგილების რაოდენობა მეტია იმ აპლიკანტთა რაოდენობაზე, ვინც აირჩია ეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
2. სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ (შემდგომში - კოლეჯი) მიერ შერჩევის შედეგების საფუძველზე, განხორციელდება იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომლებიც სწავლას განაგრძობენ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.
3. შერჩევის პროცესსი მონაწილეობის უფლება აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში - მართვის სისტემა) რეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელიც სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
4. შერჩევა ტარდება კოლეჯის მიერ განსაზღვრულ ვადაში.
5. კოლეჯი შერჩევის თარიღს, დროს და ადგილს აცნობებს მართვის სისტემას რეგისტრაციის დასრულებიდან 2 დღის ვადაში.
6. აპლიკანტთა შერჩევის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან - კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის წევრები. კომისიის შემადგენლობაში შესაძლოა შევიდეს დამსაქმებელი ორგანიზაციის /ორგანიზაციების წარმომადგენელი/წარმომადგენლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელი/წარმომადგენლები.
7. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება გასაუბრების (თვითპრეზენტაციის, მოტივაციის, დამოუკიდებელი მუშაობის, გუნდური მუშაობის და კომუნიკაციის უნარები) გზით.
8. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
9. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
10. კოლეჯის მიერ აპლიკანტთა შერჩევის შედეგები ტესტირების დასრულებიდან არაუგვიანეს 2 დღისა აისახება მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში.
11. კომისიის მიერ შერჩევის შედეგები წარედგინება კოლეჯის დირექტორს.
12. აპლიკანტთა შერჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით იქმნება საპრეტენზიო კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.
13. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს შესარჩევი კომისიის წევრი.
14. შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებული დარღვევებისა და შერჩევის შედეგების გასაჩივრების მიზნით აპლიკანტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საპრეტენზიო კომისიას, კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

15. საპრეტენზიო კომისია წარდგენილ განცხადებას განხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ერთი სამუშაო დღის ვადაში.
16. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი.
17. საპრეტენზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
18. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერეს კომისიის ყველა წევრი. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მომზადებულია: /თ. მემანიშვილი/

შეთანხმებულია:

1. დირექტორის მოადგილე /დ. უგულავა/
2. ხარისხის მართვის მენეჯერი /ნ. ნამგალაძე/
3. სასწავლო პროცესის მენეჯერი /მ. დანელია/
4. რეესტრის წარმოების სპეციალისტი /ე. მჭედლიშვილი/